

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების განყოფილების 2018 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შესყიდვების განყოფილების ანგარიშს:

მოგესხენებათ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 14 ივლისის N12 ბრძანებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამომდინარე დგება შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმა შეიცავს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით გათვალისწინებულ შესყიდვებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით დაფინანსებულ სახელმწიფო შესყიდვებს. 2018 წლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა, თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონისა 2017 წლის 20 ნოემბრამდე წარდგენილი იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში WWW. SPA. GE-ზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის გეგმამ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ნაწილში შეადგინა 5703730 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ ნაწილში კი 3529342- ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 2018 წლის მანძილზე შესყიდვები განხორციელდა როგორც გამარტივებული წესით, ასევე ელექტრონული ტენდერის საშუალებით. სულ 2018წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გაფორმდა 157 ხელშეკრულება. აქედან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებულია 8 ხელშეკრულება 48196 ლარზე; გამარტივებული, ანუ ერთ პირთან მოლაპარაკების წესით დაიდო 85 ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 253054ლარი, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 64 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 5800414 ლარი; ეს მონაცემები მეტყველებს მასზედ, რომ ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვების ხვედრითი წილი ბევრად აღემატება ერთ პირთან მოლაპარაკების წესით განხორციელებულ ანუ გამარტივებული წესით განხორციელებულ შესყიდვებს, რაც მისასალმებელია. გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელდა ერთი შესყიდვა 2018 წლის ფარგლებში, ოთხი დაზიანებული ჭაბურღილის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო ექსკლუზიური უფლებით დაიდო 3 ხელშეკრულება ჯამში 36380ლარზე.

2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში გამოცხადებული იყო სულ 86 ელექტრონული ტენდერი, აქედან როგორც უკვე მოგახსენეთ 64 ტენდერი შედგა და გაფორმდა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, 6 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 15 ტენდერი არ შედგა.

2018 წლის ბიუჯეტით ტენდერების შედეგად დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 5 800 414 ლარი, ხოლო ტენდერების გამოცხადების სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 6650766 ლარი, აქედან გამომდინარე ტენდერების განხორციელებიდან მიღებულმა მოგებამ ჯამში შეადგინა 806192 ლარი, რაც მიუთუთებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის ეფექტურ მუშაობაზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით ლაგოდების მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს 8 ხელშეკრულება 48196 ლარზე, რომლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43511 ლარი. ექსკლუზივით გაფორმდა სამი ხელშეკრულება, რომელიც დაიდო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ნებართვის საფუძველზე. უსადენო სატელეფონო მომსახურებაზე; დაცვა და საარქივო მომსახურებაზე ჯამში 36380 ლარზე.

მუნიციპალიტეტმა 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული 304000 ლარის საწვავ/საპოხი პროდუქციის ნაცვლად მოიხმარა დაახლოებით 64000 ლარის საწვავ/საპოხი მასალა.

სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების კოდში შესრულებამ შეადგინა 24744 ლარი, რაც თითქმის 2-ჯერ ნაკლებია 2017 წლის ხარჯებთან მიმართებაში.

მიუსაფართო კვებითი მომსახურება განხორციელდა 87308 ლარზე გეგმით გათვალისწინებული 90000 ლარიდან.

სამშენებლო სამუშაოების ნაწილში ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა ცხრა პროექტი საერთო ღირებულებით- 634000 ლარამდე, რომლის ფარგლებშიც დასრულდა ქ. ლაგოდების ტერიტორიაზე ორი მნიშვნელოვანი სკვერის რეაბილიტაცია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული იქნა 18 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 4057908 ლარს, ამ ნაწილში საკასო შესრულება დღეისათვის აჭარბებს 60% თუმცა, მიუხედავად ამისა 14 პროექტი ფიზიკურად შესრულებულია 100%-ით, გაჭიანურდა სამი პროექტის დასრულება, ხოლო რაც შეეხება კუდიგორის ქუჩის რეაბილიტაციას შესრულდა არაჯეროვნად რის გამოც შ.პ.ს. „ვესტა დეველოპმენტი“-ის მიმართ მიღებულია ზომები „შავ სიაში“ რეგისტრაციის შესახებ.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებებზე გაფორმებულია ორი ხელშეკრულება ერთობლივი შესყიდვის საშუალებით 161690 ლარზე, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს 2018-2019 წლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

მომსახურებების შესყიდვა. ასევე გაფორმებულია 15 ხელშეკრულება 79819 ლარზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებებზე, რომლებიც შესრულდა 100%-ით.

2018 წლის ფარგლებში შესყიდულია დაახლოებით 261000ლარის ეკონომიური სანათი ლამპიონები, რომლებიც მნიშვნელოვნად დაზოგავს ელექტროენერჯის ხარჯს გარეგანათების კომპონენტში. ასევე შეძენილია ორი ერთეული JCB-ის მარკის ექსკავატორ-დამტვირთველი და ერთი ერთეული თვითმცლელი ავტომობილი, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის აიპი სერვისცენტრს და უფრო ეფექტურს გახდის მის საქმიანობას.

მთლიანობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმა შესრულებულდა 70%-ით. ხოლო ტენდერებდან დაზოგილი თანხის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 800000 ლარს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის  
შესყიდვების განყოფილების უფროსი:

ელისო ბოჟაძე